საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	76	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

თამარ ალფაიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას;
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

		- კანდიდატის სამუშაო ადგილიდან (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან) მოწოდებულ ინფორმაციას კანდიდატის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილი) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს ოცდაერთი,

		საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხუთი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მეექვსე ნაწილით გათვალისწინებული სამი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შვიდი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^2 მუხლის მეექვსე ნაწილით გათვალისწინებული ერთი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით გათვალისწინებული ერთი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მერვე ნაწილით გათვალისწინებული ოთხი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118^2 მუხლით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევა. ხსენებულთაგან ოც შემთხვევაში შეფარდებული ჯარიმა გადახდილია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში, ხოლო ერთ შემთხვევაში კანდიდატს მიეცა გაფრთხილება. არსებული ინფორმაციით, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში თამარ ალფაიძის მიმართ განხორციელდა დისციპლინური დევნა და დისციპლინური გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა სხვადასხვა დისციპლინური პასუხისმგებლობა, კერძოდ: რექტორის 2018 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით მიეცა შენიშვნა საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო;

		რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო (მეორე შემთხვევა) დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა ერთი სალექციო მეცადინეობის ანაზღაურების ექვივალენტური ხელფასის დაკავება; რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით მიეცა შენიშვნა მარტი-აპრილის თვეებში ლექციებზე/მეცადინეობებზე დაგვიანებების გამო; რექტორის 2019 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით მიეცა გაფრთხილება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლის გამო. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა გულწრფელად და განსხვავებული

		მიდგომებით გათვალისწინებული არგუმენტების შეფასებაზე დაყრდნობით. თამარ ალფაიძის პრინციპულობას, შეუვალობასა და ადამიანებისადმი თანაბარი პატივისცემით დამოკიდებულების უნარს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია. კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. არსებული ინფორმაციით, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში თამარ ალფაიძის მიმართ განხორციელდა დისციპლინური დევნა და დისციპლინური გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა სხვადასხვა დისციპლინური პასუხისმგებლობა, კერძოდ: რექტორის 2018 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით მიეცა შენიშვნა საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო; რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო (მეორე შემთხვევა) დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა ერთი სალექციო მეცადინეობის ანაზღაურების ექვივალენტური ხელფასის დაკავება;

		რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით მიეცა შენიშვნა მარტი-აპრილის თვეებში ლექციებზე/მეცადინეობებზე დაგვიანებების გამო; რექტორის 2019 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით მიეცა გაფრთხილება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლის გამო. კანდიდატი სასამართლოში მონაწილეობდა მოპასუხე მხარედ, (დავის საგანი-თანხის დაკისრება) 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს კვალიფიციური იურისტის სახელით. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში ხელმისაწვდომია სხვადასხვა ხასიათის ინფორმაცია. მათ შორის არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კანდიდატობის შესახებ. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

			5. ფინანსური ვალდებულება მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, თამარ ალფაიძეს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში ოც შემთხვევაში შეფარდებული ჯარიმა გადახდილია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში, ხოლო ერთ შემთხვევაში კანდიდატს მიეცა გაფრთხილება. კანდიდატი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია ინდ. მეწარმედ. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის	შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	

სამართლის ნორმების ცოდნა	17	25	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამი პუბლიკაციის ანალიზს და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებებითა და კანდიდატის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ თამარ ალფაიძეს აქვს სამართლებრივი ნორმების საგნობრივი ანალიზის უნარი. მის მიერ წარმოდგენილ პუბლიკაციებში მსჯელობა კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით არის ლოგიკური და ამავე დროს დასაბუთებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ გასაუბრების მიმდინარეობისას კადიდატის პასუხები არ იყო სრულყოფილი და დამაჯარებელი, შეინიშნებოდა კითხვების შინაარსიდან გამომდინარე დაბნეულობა, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატი უთითებდა მის დაინტერესებას ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკაზე, კონკრეტული სამართლებრივი პრობლემების განხილვისას გაუჭირდა შიდასახელმწიფოებრივი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის მოხმობა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	25	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამი პუბლიკაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ პუბლიკაციებში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და

			სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია და დასაბუთებულია. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. კანდიდატი პუბლიკაციებში მსჯელობს თანმიმდევრულად და განხილული მასალის საფუძველზე აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს. თუმცა ამავდროულად, გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდიდატის მოსაზრებები, განსაკუთრებით სამართლის თეორიული საკითხების გარშემო, მოკლებულია სიღრმეს და ნაკლებად დამაჯერებელია. ზოგიერთი სამართლებრივი საკითხის განხილვისას კანდიდატს ან საერთოდ არ ჰქონდა პასუხი ან პასუხები ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი იყო. ამასთან, არ იცნობს შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. თამარ ალფაიძის 21 წლიანი პროფესიული გამოცდილება ძირითადად დაკავშირებულია პედაგოგიურ საქმიანობასთა. კანდიდატს სამოსამართლო პრაქტიკა არ გააჩნია.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20	<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამი პუბლიკაციის ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> გასაუბრების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ხშირ შემთხვევაში საუბრობს მშვიდად, მაგრამ გაურკვევლად, მსჯელობები არათანმიმდევრული და არასრულია, შეიმჩნეოდა მცირედი მღელვარებაც, რაც ჩემი აზრით მეტწილად შეკითხვებზე სათანადო პასუხის არქონით იყო გამოწვეული.

			რაც შეეხება კანდიდატის მიერ შესრულებულ პუბლიკაციებს, წარმოდგენილი პუბლიკაციები იკითხება ადვილად, აზრი გარკვევით არის გადმოცემული. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. ამ მხრივ კანდიდატს პოზიტიურად ახასიათებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირებიც.
პროფესიული თვისებები	11	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს, ასევე თამარ ალფაიძის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნისა და დისციპლინური გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციას.</u> აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ თამარ ალფაიძე არის შრომისმოყვარე, მაგრამ არასაკმარისად პასუხისმგებლიანი ადამიანი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი მუდმივად

			ზრუნავს საკუთარი სამართლებრივი ცოდნის მარაგის გაფართოებაზე, რის შედეგადაც მიღებულ ინფორმაციას და ცოდნას ნაყოფიერად იყენებს მის პრაქტიკულ საქმიანობაში. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. თამარ ალფაიძე ბოლო წლების განმავლობაში მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ 2ტრენინგს/5სემინარსა და 3 სასწავლო კურსში. მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზება.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატი ეწევა როგორც პედაგოგიურ ასევე სამეცნიერო საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს როგორც სტატიები ასევე არის რამდენიმე წიგნის თანაავტორი.
ქულათა ჯამი	76	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა: